

### გამოცდის/გამოცდების ჩატარების დებულება

წინამდებარე დებულება არეგულირებს შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში გამოცდის/გამოცდების ჩატარებას, უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის გამჭვირვალობას და სამართლიანობას.

#### 1. გამოცდის/გამოცდების ჩატარების თარიღი

1.1. შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტში გამოცდა/გამოცდები ტარდება შპს საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიური კალენდრით“ დადგენილი გრაფიკის თანახმად.

#### 2. გამოცდის/გამოცდების ტიპი

გამოცდა/გამოცდები შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ფორმით:

2.1. წერიტი გამოცდა – საგამოცდო დავალება სრულდება ქაღალდურ მატარებელზე ან/და კომპიუტერულად.

2.2. ზეპირი გამოცდა – პრეზენტაცია ან/და გამოცდა კომისიის წინაშე.

#### 3. წერიტი გამოცდის/გამოცდების ჩატარების ფორმა

წერიტი გამოცდა შეიძლება ჩატარდეს შემდეგი ფორმით:

3.1. დახურული გამოცდა, სტუდენტს არა აქვს უფლება გამოიყენოს დამხმარე მასალა/მასალები ან/და საინფორმაციო ელექტრონული წყაროები.

3.2. გამოცდა „ღია წიგნის“ პრინციპით, სტუდენტს უფლება აქვს გამოიყენოს:

3.2.1. წიგნი, ბეჭდური სახით

3.2.2. დამხმარე მასალა/მასალები ბეჭდური სახით

3.2.3. წიგნი ელექტრონული სახით

3.2.4. დამხმარე მასალა/მასალები ელექტრონული სახით

3.2.5. ინტერნეტ რესურსი

3.2.6. გამოცდის/გამოცდების ჩატარების კონტრეტულ ფორმას ადგენს სასწავლო კურსის პედაგოგი შესაფასებელი სწავლების შედეგებიდან გამომდინარე და წინამდებარე დებულებით დადგენილ ვადებში აცნობებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.



#### 4. გამოცდის/გამოცდების ჩატარების ადგილი

4.1. ზეპირი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს როგორც აუდიტორიაში, ასევე კომპიუტერულ ლაბორატორიაში. გამოცდის/გამოცდების ჩატარების ადგილს ადგენს სასწავლო კურსის პედაგოგი შესაფასებელი სწავლების შედეგებიდან გამომდინარე და წინამდებარე დებულებით დადგენილ ვადებში აცნობებს სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას.

4.2. დახურული წერითი გამოცდა ქალაქდურ მატარებელზე უნდა ჩატარდეს აუდიტორიაში, სადაც სტუდენტს არ ექნება წვდომა ინტერნეტზე და ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებზე.

4.3. დახურული წერითი გამოცდა კომპიუტერზე უნდა ჩატარდეს კომპიუტერულ აუდიტორიაში, სადაც შეზღუდულია წვდომა ინტერნეტზე და სხვა ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებზე.

4.4. წერითი გამოცდა ქალაქდურ მატარებელზე „ღია წიგნის“ პრინციპით 3.2.1 და 3.2.2 უნდა ჩატარდეს აუდიტორიაში, სადაც სტუდენტს არ ექნება წვდომა ინტერნეტზე და ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებზე.

4.5. წერითი გამოცდა კომპიუტერზე „ღია წიგნის“ პრინციპით 3.2.1 და 3.2.2 უნდა ჩატარდეს კომპიუტერულ აუდიტორიაში, სადაც სტუდენტს არ ექნება წვდომა ინტერნეტზე და სხვა ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებზე, გარდა საგამოცდო აუდიტორიაში განთავსებული კომპიუტერისა.

4.6. წერითი გამოცდა/გამოცდები 3.2.3 და 3.2.4 ფორმით უნდა ჩატარდეს კომპიუტერულ აუდიტორიაში, სადაც შეზღუდულია წვდომა ინტერნეტზე და უზრუნველყოფილია სტუდენტის წვდომა ელექტრონულ წიგნზე ან/და დამხმარე მასალა/მასალებზე. ამასთან, სავალდებულოა შეიზღუდოს წვდომა სხვა ელექტრონულ საინფორმაციო საშუალებებზე.

4.7. წერითი გამოცდა/გამოცდები 3.2.5 ფორმით შეიძლება ჩატარდეს აუდიტორიაში ან/და კომპიუტერულ აუდიტორიაში, სადაც უზრუნველყოფილია სტუდენტის წვდომა ინტერნეტზე.

#### 5. გამოცდის/გამოცდებისთვის მზადება

5.1. გამოცდის/გამოცდების ორგანიზებულად და შეუფერხებლად ჩატარების მიზნით სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია:

5.1.1. გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან შეათანხმოს გამოცდის/გამოცდების ჩატარების ადგილი და საჭირო ტექნიკური საშუალებები;

5.1.2. გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს მიაწოდოს საგამოცდო მასალა მოსამზადებლად;

5.2. გამოცდის ჩატარებამდე მინიმუმ 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური ვალდებულია უზრუნველყოს:





5.2.1. საგამოცდო მასალის დაბეჭდვა/გამრავლება ხარისხიანად და ტექნიკური ხარვეზების გარეშე.

5.2.2. კომპიუტერული აუდიტორიის სათანადოდ გამართვა.

6. გამოცდის/გამოცდების მიმდინარეობა

6.1. გამოცდის დაწყებამდე გამომცდელი ვალდებულია:

6.1.1. სტუდენტს აცნობოს გამოცდის დაწყების და დასრულების დრო.

6.1.2. კომპიუტერული წერიტი გამოცდის შემთხვევაში გამომცდელი ვალდებულია სტუდენტებს აცნობოს კომპიუტერული მისამართი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სადაც სტუდენტმა უნდა შეინახოს დასრულებული ნაშრომი ან/და გააცნოს პროცედურა, რომლის შესრულებაც სავალდებულოა კომპიუტერული წერიტი გამოცდის დასრულებისათვის.

6.1.3. ჩაატაროს ინსტრუქტაჟი გამოცდასთან დაკავშირებით და მოსთხოვოს სტუდენტებს გამოცდის ინსტრუქციის დეტალურად გაცნობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

6.1.4. მოსთხოვოს სტუდენტებს საგამოცდო დავალების გადახედვა, ტექნიკური ხარვეზის გამოვლენის და დროულად დაფიქსირების მიზნით;

6.2. გამოცდის მიმდინარეობის დროს გამომცდელი ვალდებულია უზრუნველყოს:

6.2.1. წესრიგის დაცვა და საჭიროების შემთხვევაში წინამდებარე დებულებით დადგენილი სანქციების ამოქმედება;

6.2.2. საგამოცდო დავალებასთან დაკავშირებული შინაარსობრივი კითხვების უგულებელყოფა;

6.2.3. სტუდენტის მხრიდან გადაწერის მცდელობისთვის ხელის შეშლა;

6.2.4. საგამოცდო ნამუშევრების ჩაბარების მონიტორინგი.

7. ქვევის წესები და სანქციები

7.1. გამოცდაზე დაგვიანება

7.1.1. სტუდენტი გამოცდაზე დაგვიანებით დაიშვება, თუ გამოცდა ტარდება წინამდებარე დებულების 4.2-4.6 პუნქტებით დადგენილ ადგილას და გამოცდის დაწყების მომენტიდან სტუდენტის დაგვიანების მომენტამდე სხვა არც ერთ სტუდენტს საგამოცდო ადგილი არ დაუტოვებია გამოცდის დასრულების ან სხვა საპატიო მიზეზის გამო.

7.1.2. დაგვიანებული სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შემთხვევაში, ის ვალდებულია საგამოცდო დავალება დაასრულოს 6.1.1 ქვეპუნქტით დადგენილ დროს.

7.1.3. წინამდებარე დებულების 7.1.1 ქვეპუნქტისგან განსხვავებულ ყველა სხვა შემთხვევაში სტუდენტი გამოცდაზე არ დაიშვება, დაფიქსირდება „არგამოცხადება“ და გაუფორმდება შეფასება „0“.

7.2. საგამოცდო ადგილის დროებით დატოვება

7.2.1. გამოცდის მიმდინარეობის დროს საგამოცდო ადგილის დროებით დატოვება ნებადართულია მხოლოდ საპატიო მიზეზით: გადაუდებელი სიტუაციის გამო ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო.



7.2.2. არასაკატიო მიზეზით საგამოცდო ადგილის დატოვების შემთხვევაში, სტუდენტს არა აქვს უფლება დაუბრუნდეს საგამოცდო ადგილს.

7.3. ქცევის წესები

7.3.1. წერიტი გამოცდის მიმდინარეობის დროს სტუდენტს ეკრძალება:

- გადალაპარაკება
- მობილური ტელეფონის გამოყენება
- ხმამაღლა შეკითხვის დასმა
- სამუშაო ადგილის დატოვება და აუდიტორიაში/კომპიუტერულ ლაბორატორიაში გადაადგილება

7.3.2. წინამდებარე დებულების 7.3.1 ქვეპუნქტით დადგენილი შემთხვევის დაფიქსირების შემთხვევაში სტუდენტი მოიხსნება გამოცდიდან და გაუფორმდება შეფასება „0“.

8. საგამოცდო ნამუშევრების ჩაბარება

8.1. ქალაქდურ მატარებელზე წერიტი გამოცდის დასრულების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გამომცდელს ჩააბაროს ნაშრომის უკლებლივ ყველა გვერდი და გამომცდელის მიერ ხელმოწერილი დამატებითი ფურცლები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8.2. სტუდენტის მიერ გამოცდის დასრულების და საგამოცდო ადგილის დატოვების შემდეგ საგამოცდო ნაშრომის გვერდების რაოდენობასთან დაკავშირებული პრეტენზიები არ განიხილება და გამომცდელი შეაფასებს ნაშრომის იმ ნაწილს, რაც ჩაბარდა მას გამოცდის დასრულებისას.

8.3. კომპიუტერული წერიტი გამოცდის დასრულების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია ნაშრომი შეინახოს კომპიუტერში გამომცდელის მიერ წინასწარ მითითებულ მისამართზე (საქალაქდებში) ასეთის არსებობის შემთხვევაში.

8.4. სტუდენტის მიერ გამოცდის დასრულების და საგამოცდო ადგილის დატოვების შემდეგ საგამოცდო ნაშრომის სხვა მისამართზე შენახვასთან დაკავშირებული პრეტენზიები არ განიხილება, გამომცდელი ნაშრომს არ შეაფასებს და სტუდენტს გაუფორმდება შეფასება „0“.

9. დასკვნითი დებულებანი

ეს დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

100